

კონსტანტინე ჩხიკვაძის კალენდარული ავტობიოგრაფია



სახელი კონსტანტინე
გვარი ჩხიკვაძე
სამეცნიერო წოდება ტექნ. მეც. დოქტორი

1968-1973 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის
სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი.

1976 – 1980 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "სამშენებლო მექანიკისა და
სეისმომდეგობის" ინსტიტუტის ასპირანტი

საპროექტო გამოცდილება

2005 წლიდან ვმუშაობ შ.პ.ს. " მონოლითში ", რომელიც აწარმოებს
სამრეწველო, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და საინჟინრო დანიშნულების მქონე
შენობა- ნაგებობების პროექტირებას.

ჩემი ძირითადი სპეციალიზაცია წარმოადგენს შენობა-ნაგებობების
საანგარიშო მოდელების ჩამოყალიბებას, მათ გაანგარიშებას და მიღებული
შედეგების ანალიზს.

ამ მიზნებისათვის გამოიყენება კომპიუტერული ავტომატური საანგარიშო
კომპლექსები:

LIRA- WINDOWS, ANSYS, NASTRAN, FEEMAP, SAP2000, NONSAP, SCAD,
MONOMAX, GEO_SLOPE, GEOSOFT და სხვა).

ჩატარებული მაქვს მრავალი
შენობა-ნაგებობების გაანგარიშებები, მათ შორის: რკინიგზის სადგური თბილისში
აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე; "აკადემ ქალაქის" ტერიტორიაზე
საცხოვრებელი კომპლექსი; დიდი დიდილოის საცხოვრებელი კომპლექსი; ქ.
ქუთაისში სპორტის სასახლე; ქ. ბათუმში სასტუმრო "მაგნოლია"; საცხოვრებელი
კომპლექსი ჩოლოყაშვილის #49; საცხოვრებელი კომპლექსი დიმიტროვის
საავიაციო ქარხანასთან; საცხოვრებელი კომპლექსი დიდუბის ქ. #23;
საცხოვრებელი კომპლექსი " ოთაქალის ტურფა "; კოპიტნარის აეროპორტის
სამეთვალყურეო კოშკი; დადიანის ქუჩაზე საცხოვრებელი კომპლექსი მდებარე
სავაჭრო კომპლექსი "ქარვასლა"-ს უკანა მხარეს; საცხოვრებელი კომპლექსი
ერისთავის ქ. # 3; საცხოვრებელი კორპუსი კანდელაკის ქ. #31; ჭავჭავაძის
გამზირზე გ.ტაბიძის ძეგლის მარცხენა მხარეს მდებარე კომპლექსი; ჭავჭავაძის
გამზირზე ე.წ. "მილიციის ხევის" ფერდობის მდგრადობის გავოკვლევა; ქ. სოჭში
(რუსეთი) დასასვენებელი კომპლექსი "პრავდა"; ქ. სოჭთან მაცესტა-ხოსტას

რკინიგზის გადასარბენზე (რუსეთი) საყრდენი კედლების სისტემის გაანგარიშება; ქ.ბათუმში სასტუმრო კომპლექსი და 18 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი; ყიფშიძის ქ. საცხოვრებელი კომპლექსები #2, #3; დაბა ბაკურიანის და გუდაურის სასტუმროები; განაშენიანება სატივე"-ს 3-მი კორპუსი; სასტუმრო მეტეხის მოპირდაპირე ოფისები; სპორტის სასახლის მარცხენა მხარეს მდებარე 2 მაღლივი კორპუსი; ბ.პაჭაძის დონამოს სტადიონის რეტროსპექტული გაანგარიშებები და გამოკვლევები; მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი ალექსიდის #8; საცხოვრებელი კომპლექსი ვირსალაძის #8; მრავალფუნქციური 21-სართულიანი შენობა ერთი საზოგადოებრივი სართულით და 2 სარდაფით, მდებარე ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. #49; დუშეთის რაიონის სოფ. კაიშაურებში „მთა ვარცალა“ სასტუმროს G, K, N, ბლოკების 7-8 სართულიანი, მიწისქვეშა ავტოსადგომებით; ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზირ #64-ში მდებარე 24 სართულიანი საცხოვრებელი სახლი; ქ. თბილისი, მეტრო „გოცირიძის“ სადგურის ბაქნის კონსტრუქციების ანგარიში, ბურჯების მზიდი და კონსოლური ნაწილის შემოწმება გადახურვის კონსტრუქციების გათვალისწინებით; ქ. თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე 01.14.06.006.102) მრავალფუნქციური კორპუსი; ქ რუსთავეში, მშენებელთა ქ #70ა-ში მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ციკლონური თბომცვლელის 57 მ ნაგებობის მზიდი კარკასი; ქ. თბილისი, დიდი დილომი, მირიან მის #44-ში მდებარე მრავალსართულიანი კორპუსი; და სხვა მრავალი ობიექტები.

სამუშაო და სამეცნიერო გამოცდილება :

1973–1977 წ.წ. ვმუშაობ “თბილქალაქპროექტში” უფროს ინჟინრად. მონაწილეობა მქვს მიღებული ქ. თბილისის სხვა და სხვა ობიექტების დაპროექტებაში (იყალთო-ბახტრიონის განაშენიანება, ნუცუბიძის პლატო, რკინიგზის სადგური, დღევანდელი კანცელარიის შენობა, ყოფილი რიტუალების სასახლე და სხვა)

1977–1987 წ.წ. ვმუშაობს საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტში (“გრუნნიეგსი“) უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. სამეცნიერო თემატიკა – ენერგეტიკული ობიექტების სეისმომდეგობა (ენგურის თაღოვანი კაშხალის სეისმომდეგობა, ატომური ელექტრო-სადგურების სეისმომდეგობა, და სხვა ობიექტები).

1987-91, წლებში ვარ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (შეთავსებით). ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები : ახალი თანამედროვე მეთოდების, ალგორითმების და პროგრამული კომპლექსების შემუშავება ნაგებობების სეისმომდეგობის უზრუნველსაყოფად; ნაგებობათა რეალური ქცევის განსაზღვრა სეისმური ზემოქმედებისას ფიზიკური, გეომეტრიული და კონსტრუქციული არაწრფივობის გათვალისწინებით.

1987 წლიდან დღემდე ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის (ყოფილი კოსმოსური ნაგებობათა ინსტიტუტი)ს თეორიული განყოფილების გამგე. ძირითადი მიმართულება - დიდგაბარტიანი გასაშლელი

კოსმოსური ნაგებობების თეორიული მოდელების შექმნა, მათი ძირითადი პარამეტრების კვლევა-ძიება, კონსტრუქციების გაანგარიშება სპეციალურ სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე, დაპროექტება და რელური ობიექტების გამოცდა. 1999 წლის 23–28 ივნისს საქართველოს კოსმოსური ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ ღია კოსმოსში გატანილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი ნაკეთობა: დიდგაბარიტიანი გასაშლელი კოსმოსური ანტენა–რეფლექტორი, ამ ექსპერიმენტში გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 2 აგვისტოს #935 ბრძანებულებით დაჯილდოვებული ვარ ღირსების ორდენით. 2001 წელს ევროპის კოსმოსური სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 19 ივლისის #736 განკარგულებით დაჯილდოვებული ვარ მედლით “საბრძოლო დამსახურებისთვის”.

1986 წლიდან დღემდე ვთანამშრომლობ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან: 1986-1996 წწ ვარ შეთავსებით 57 კათედრის დოცენტი, ვკითხულობ ლექციების კურს “სამშენებლო მექანიკა”, “სეისმომედეგობის თეორია”, “ნაგებობათა დინამიკა და მდგრადობა”. 2003 წლიდან ვარ შეთავსებით 90 კათედრის დოცენტი, ვკითხულობ ლექციების კურს “სამშენებლო კონსტრუქციების ავტომატური დაპროექტება”, “სასრული ელემენტების თეორია” და მის ბაზაზე შექმნილი კომპიუტერული პროგრამული კომპლექსების გამოყენება (LIRA- WINDOWS, ANSYS, NASTRAN, FEEMAP, SAP2000, NONSAP, SCAD, MONOMAX, GEO_SLOPE, GEOSOFT და სხვა).

1977-2003 წლებში ვარ საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (“გრუზნიიენგსი”) უფროცი მეცნიერ თანამშრომელი. ძირითადი მიმართულება – ატომური ელექტროსადგურების სეისმომედეგობა, უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების (ენგურის, ხუდონის, ნამახვანის თაღოვანი კაშხლების, ჟინვალის და სხვა კაშხლების) სეისმომედეგობა.

2007-2011 ვარ კ. ზავრივეის სახელობის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის სეისმომედეგობის თეორიის ლაბორატორიეს გამგე, წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი. ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები : სეისმომედეგი მშენებლობის მარეგულირებელი ახალი თაობის ეროვნული ნორმატიული დოკუმენტების პაკეტის მომზადება ევროპული სტანდარტის EUROCODE 8–ის საფუძველზე ახალი თანამედროვე მეთოდების, ალგორითმების და პროგრამული კომპლექსების შემუშავება ნაგებობების სეისმომედეგობის უზრუნველსაყოფად; ნაგებობათა რეალური ქცევის განსაზღვრა სეისმური ზემოქმედებისას ფიზიკური, გეომეტრიული და კონსტრუქციული არაწრფივობის გათვალისწინებით

2011 - 2017 წლებში ვმუშაობ სართველოს თავდაცვის სამინისტროში ჯლუს საკონსტრუქტორო ბიუროს უფროს კონსტრუქტორად, მთავარ სპეციალისტად.

2013 წლიდან დღემდე აგრარულ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას პროფესორის პოზიციაზე, ვკითხულობ ლექციებს სხვადასხვა დისციპლინებში.

პუბლიკაციები გამოქვეყნებული მაქვს 70 მდე ნაშრომი, მათ შორის 4 გამოგონება

სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ფორუმებში მიღებული მონაწილეობა:

1. Межд.симпозиум «Механика деформируемого твердого тела» Тбилиси, 1998.
2. Межд. симпозиум «Сейсмостойкость и инженерная сейсмология» Тбилиси,1999.3.
3. Millennium conference on antennas and propagation. Davos.Switzerland.9-14 April,2000.
4. 28th Antenna workshop on space antenna system and technologies. Nederland, Noordwijk, 2005
5. Conf .”Engineering,construction and operation chalinging enviromental , earth and space ”Texas,5- 8 march, 2006.
6. AESE- 2007/international Symposium on Advances in Earthquake & Structural Engineering . Behavior of buildings under seismic action taking into account non-inertial loads. 24-26.2007 ოქტომბერი სულეიმან დემირელის უნივერსიტეტი ისპარტა-ანტალია-თურქეთი.
- 7 . AESE- 2007/international Symposium on Advances in Earthquake & Structural Engineering . Model of Nonlinear Behavior of Buildings under Seismic Action Taking into Account Non- inertial Loads . 24-26.2007 ოქტომბერი სულეიმან დემირელის უნივერსიტეტი ისპარტა-ანტალია-თურქეთი.
8. საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია ~სამშენებლო მექანიკის პრობლემები~შენობის ქცევის სეფასება სეისმურ ზემოქმედებაზე სტატიკური არაწრფივი "Pushover" - ანალიზის გამოყენებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2010
9. Sh.Tserodze, E.Медзмариашვილი, N.Tsignadze, M.Sanikidze, L.Datashvili, A. Sarchimelia, K. Chkhikvadze, N. Siradze, G. Bedukadze.
A New Design Variant of the Large Deployable Space Reflector. Earth & Space 2006: 10th Biennial International Conference on Engineering, Construction, and Operations in Challenging Environments and Second NASA/ARO/ASCE Workshop on Granular Materials in Lunar and Martian Exploration / American Society of Civil Engineers/March 5-8 | League City/Houston, Texas, United States. 2006. Published online: April 26, 2012.
10. Sh.Tserodze, E.Медзмариашვილი, N. Tsignadze, K. Chkhikvadze, M. Sanikidze, M. Janikashvili, N. Khatiasvili, M. Adeishvili, V. Medzmariashvili, N. Siradze.
New Types of High-Precision Deployable Space Reflectors. Proceedings of International Scientific Conference “Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 14-16 October, Tbilisi Georgia. 2009. Conference Proceedings pp. 111-116/Electronic Resource
11. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის პირველი ყოველწლიური კონფერენცია, ნიკოლოზ მუსხელიშვილის 120 წლისთავის. ორმაგი (ჩარჩო-კედელი) სისტემის მქონე მაღლივი შენობის გაანგარიშება სეისმომედეგობაზე. 20-22 დეკემბერი, 2010, საქართველო, თბილისი
12. International conference, continuum mechanics and realated problems of analysis. Using a nonlinear static, pushover analysis for design the high-rise building on seismic action. September 9-14,2011 Tbilisi, Georgia
13. Sh. Tserodze, V. Gogolashvili, J. Santiago Prowald, K. Chkhikvadze, N. Tsignadze, A. Chapodze, M. Nikoladze. New design of a transformable mechanical cone systemwith v-folding rods. Proceedings of International Scientific Conference “Advanced

lightweight structures and reflector antennas”, October 1-3., Tbilisi. 2014. Conference Proceedings/Electronic Resource, pp. 89-98.

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

საერთაშორისო გრანტები:

1. ISTC Projects , Dynamic Code for Dams Stability Analysis, #G-490
2. ISTC Projects, Concrete Dams and Alkali-Aggregate Reaction, #G-1153

მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში

1998 -1999 Космический эксперимент по созданию и испытанию большегабаритной космической антенны , программа «РЭФЛЕКТОР», (Грузия-Россия)

2001- 2003 Тендер Европейского космического агенства по созданию для Европы большегабаритной космической антенны (Италия - Россия – Грузия)

უცხოური ენების ცოდნა

რუსული,
ინგლისური (ლექსიკონით)

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

Microsoft Word, Microsoft Excel , AVTOCAD, და ა.შ.

ალგორითმული ენები - Visual Fortran,

პროგრამების ცოდნა და გამოყენება - LIRA-WINDOWS, ANSYS, FEEMAP-NASTRAN, PATRAN, SAP5, SAP2000, NONSAP, GEO-SLOPE, GEO-5 და ა.შ.